my.gov.ge
"ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი"
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. „ციფრული მმართველობის სააგენტო“

კორესპონდენცია წარმოებულია საჯარო უწყებებთან მიმოწერის სერვისის მეშვეობით

№ CA00412506353736 **08.05.2025**

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს სახალხო
დამცველის აპარატი

სათაური: საკანონმდებლო წინადადება "სამშენებლო ომბუდსმენის შესახებ"

შინაარსი: გთავაზობთ, მიღებული იქნას, საქართველოს კანონი "სამშენებლო ომბუდსმენის შესახებ", ვინაიდან მშენებლობის ნებართვების გაცემის პროცესს ახასიათებს მასშტაბური დარღვევები. ცალსახა მაგალითის სახით, წარმოგიდგენთ, 2018 წლის 31 დეკემბერს, ს/კ [redacted] -ზე გაცემული კონკრეტული მშენებლობის ნებართვის 7 უკანონობის დამადასტურებელ 7 სასასამართლო ექსპერტიზის დასკვნას, რომლებიც ადასტურებენ დედაქალაქში 12.04.2016 წელს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის 7 (შვიდ) უკანონობას. დასკვნები შედგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2024-2025 წლებში, აღნიშნული 7 საექსპერტო დასკვნა ადასტურებენ ს/კ [redacted] მიწის ნაკვეთზე ([redacted]ა-[redacted]ს მიმდებარედ) 12.04.2016 წელს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის უკანონობას, 7 ეპიზოდში: (1) საპროექტო შენობის ქვეშ გადის გაზსადენი; (2) აღნიშნული გაზსადენის გადალაგება შეუძლებელია სამხრეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით; (3) საპროექტო შენობიდან სტადიონამდე არ არის დაცული სავალდებულო 10-40 მეტრიანი მანძილი; (4) საპროექტო შენობიდან მიმდებარე ავტოფარეხებამდე არ არის დაცული სავალდებულო 15-მეტრიანი მანძილი; (5) საპროექტო შენობამდე მიმავალი გზის კიდიდან შენობის კედლამდე არ არის დაცული სავალდებულო 8-10 მეტრიანი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი; (6) საპროექტო შენობამდე მიმავალ გზას არ გააჩნია საფეხმავლო ბილიკები და ტროტუარები; (7) საპროექტო შენობამდე მიმავალი გზის კიდიდან შენობის კედლამდე არ არის გათვალისწინებული 8-10 მეტრიანი მანძილი სახანძრო ავტომანქანებისთვის და სახანძრო ავტოკიბეებისთვის. აღნიშნული 7 დასკვნა ნათლად და ცალსახად ადასტურებს, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემა ხდება ქაოტურად, დაუფიქრებლად. მშენებლობის დარგში არ არის დანერგილი მკაფიო და თანმიმდევრული წესები, გასაუმჯობესებელია გამჭვირვალობა, აუცილებელია სამშენებლო რეგულაციების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, შენობის ხარისხის კონტროლისა და უსაფრთხოების მექანიზმების არსებობის უზრუნველყოფა. პროექტების შეფასება რისკის კატეგორიების მიხედვით. ერთი მშენებლობის ნებართვის მიმართ რომ 7 სასამართლო ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა არსებობს (!), ეს ნიშნავს, რომ დარღვევების მასშტაბები მაღალია, ზოგადად ამ დარგში. შესაბამისად, სამშენებლო სექტორში ადამიანის უფლებების დაცვის უზრულველსაყოფად, საჭიროა "სამშენებლო ომბუდსმენის" ინსტიტუტის შემოღება. დამატებით, თვალსაჩინოებისათვის, წარმოგიდგენთ ვიდეო ფაილის სახით იმ ქაოსის დასტურს, რაც სუფევს ხაზობრივი ნაგებობებთან მიმართებაში - იხილეთ ვიდეო ფაილი ლინკზე: https://rustavi2.ge/ka/news/129943. პატივისცემით, ზურაბ ვანიშვილი, ზურაბ ღლონტი, ბესიკ ქათამაძე და როლანდი კოჩოძე

დოკუმენტები:
1) მე-7 ექსპერტიზა.jpg;
2) 6 ექსპერტიზა, რომლებიც ადასტურებენ ს/კ [redacted] საპროექტო შენობის არქ. პროექტის უკანონობას.djvu;
3) 2016 წლის 12 აპრილს არქიტექტურული პროექტის შეთანხმება რომელსაც 7 დარღვევა აღმოუჩინა ექსპერტიზამ.pdf;
4) 2018 წლის 31 დეკემბერს გაცემული მშენებლობის ნებართვა, რომელსაც 7 მძიმე დარღვევა გააჩნია.pdf;

პატივისცემით,

ზურაბ ვანიშვილი
პ. #: [redacted]

მობილური: +[redacted]
ელფოსტა:[redacted]